

UDC 004.5

SCOPUS CODE 1801

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2020-1-59-79>

ინტერდისციპლინური მიდგომის დახმარებით ზოგიერთი რთული ლინგვისტიკური ამოცანის გადაწყვეტა

გელა ღვინეფაძე მართვის ავტომატიზებული სისტემების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: gvinepadzegela@gmail.com

რეცენზენტები:

გ. სურგულაძე, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: gsurg@gmx.net

კ. ვხაკაძე, ქართული ენის ტექნოლოგიების საკვლევ-სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, ფიზ.-მათ.

მეცნიერებათა დოქტორი

E-mail: gllc.ge@gmail.com

ანოტაცია. ნებისმიერი ენის წარმოშობა - განვი-
თარების პრობლემის გადასაწყვეტად, ასევე ტერმი-
ნებისა და საინტერესო სიტყვების წარმოშობის შესა-
ხებ მსჯელობა არასოდეს კარგავს აქტუალურობას.
ამავე ჟურნალის წინა ნომრებში ვმსჯელობდით
ქართული თუ არაქართული, ჩვენი (და არა მარტო
ჩვენი) აზრით, საინტერესო ტერმინებისათვის ახა-
ლი ეტიმოლოგიური ვერსიების შესახებ ავტორის
შემუშავებული პარადიგმის კრილში [1, 2]. ამჯე-
რად, იმავე პარადიგმაზე დაყრდნობით, მკითხველს
ვაცნობთ ზოგი სხვა, ასევე საინტერესო სიტყვების
(ძირითადად ჰიდრონიმების, ტოპონიმების) წარმო-
შობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს. ეს ტერ-
მინებია: საქართველო, ენგური, ანკარა, Москва,

Киев, Anglia, Angel. ჩამოთვლილი სიტყვებისათვის
ეტიმოლოგიური ვერსიების შემუშავებისას ამ შემ-
თხვევებშიც მოვიხმობდით ფაქტებს ადამიანის საქ-
მიანობის სხვადასხვა სფეროდან, ხოლო მათ შესა-
ჯერებლად და საბოლოო გადაწყვეტილების მისა-
ღებად ვიყენებდით ინტერდისციპლინურ მიდგო-
მებსა და ობიექტის, სუბიექტის, იდეის შესწავლა-
განსჯისათვის სპეციალურად შემუშავებულ მეთო-
დებს: გონებრივი იერიშის, დელფოსის, დოქტორ
დე ბონოს 6 ქუდისა და სხვა.

საკვანძო სიტყვები: ანკარა, ენგური, ეტიმო-
ლოგიათა კვლევა, ინტერდისციპლინური მიდგომა,
ლინგვისტიკა, საქართველო, Angel, Anglia, Киев,
Москва.

შესავალი

უხსოვარი დროიდან მოყოლებული, ადამიანი მუდამ ცდილობდა თავისთვის ფიზიკური შრომა შეემსუბუქებინა და ხელი მოჰკიდა ჯერ უმარტივესი, შემდეგ კი გაცილებით რთული იარაღების დამზადებას. გავიდა ხანი და ადამიანმა მიაგნო ცეცხლის გაჩენის ხერხს, გამოიგონა ბორბალი და ა.შ. მომდევნო ეპოქებში კი საქმის გამარტივების მცდელობა უკვე გონებრივ სამუშაოებზეც გავრცელდა, რისი ერთ-ერთი შთამბეჭდავი მაგალითია მის მიერ ათობითი სისტემის მომარჯვება თვლისა და არითმეტიკული ოპერაციების ჩასატარებლად. საინტერესოა, რომ ისტორიულად არცთუ დიდი ხნის წინ, ევროპაში ასეთი ოპერაციების ჩატარებაში გაწაფული ინტელექტუალები რომაული ციფრებით ოპერირებდნენ, რაც სრულებით არ იყო ადვილი საქმე და, ამის გამო, გარშემომყოფთა დიდ პატივისცემას იმსახურებდნენ.

სულ რაღაც საუკუნე-ნახევრის წინ კაცობრიობის უმეტეს ნაწილს არ შეეძლო მარტივი, რუტინული ამოცანების ამოსახსნელად პირველი ხარისხის განტოლების შედგენა, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ თვით დიდ მეცნიერებსაც კი ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ნივთიერებათა შედგენილობის შესახებ, ხოლო ცოტათი ადრე ისეთი ცნობილი მეცნიერი, როგორც გახლდათ საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ლავუაზიე, კატეგორიულად უარყოფდა მის წინაშე წარდგენილი მეტეორიტის „უფლებას“ ციურ სხეულად არსებობაზე შემდეგ ფრიად „ლოგიკურ“ არგუმენტზე დაყრდნობით:

„ცაში ქვები არ დაფრინავენ!“

მაგრამ, გადის დრო და...

ამ 40-იოდე წლის წინ ენათმეცნიერთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია დამკვიდრებულმა მოსაზრებამ – კაცობრიობის მიერ ისტორიულად უხსოვარ დროში შექმნილი, ენათა საწყისი მარაგის შემადგენელი ერთეულების ეტიმოლოგიის დადგენა უიმედო საქმეაო! მაგალითად, ცნობილი ქართველი ლინგვისტები მიიჩნევდნენ, რომ დღეს შეუძლებელია დადგინდეს, ვთქვათ, **მთას** რატომ დაერქვა ეს სახელი და არა, დავუშვათ, **ამთ** ან კიდევ რა ფაქტორებმა განაპირობა ტერმინების: **თევზის**, **თავის** და ა.შ. სწორედ ამგვარად სახელდება და არა ბგერათა სხვა კომბინაციების მეშვეობით...

ჩვენი ვარაუდით, საკითხისადმი ასეთი პესიმისტური მიდგომა განაპირობა პარადოქსულმა გარემოებამ, კერძოდ ამ სფეროში გარღვევებს ხელი შეუშალა დარგის სპეციალისტების მიერ დაგროვილმა უზარმაზარმა ცოდნამ!

მართლაც, ბევრი ლინგვისტი რამდენიმე ათეულ ენასაც კი ფლობს და ლოგიკურია, რომ კვლევათა საწყის ეტაპზე ისინი ოპერირებდნენ სწორედ ამ სიმდიდრით, მომდევნოზე კი ეყრდნობოდნენ კარგად ათვისებულ და, როგორც წესი, დიდი სარგებლობის მომტან ე. წ. ისტორიულ-შედარებით მეთოდს...

მაგრამ, საქმე ისაა, რომ ზემოთ აღნიშნული გზებით ენების ფორმირების პროცესისთვის თვალის მიდევნება შესაძლებელია მაქსიმუმ რამდენიმე ათასწლეულის მომცველი პერიოდის ჩათვლით, უფრო ადრეული ხანის წერილობითი წყაროები აღარ არსებობს და ენების საწყისი მარაგისკენ მიმავალი ბილიკი უჩინარდება ენათა სამყაროს უსიერ ტყეში (გნებავთ, აფრიკულ ჯუნგლებში).

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ:

ენათა სამყაროს უძველეს სიტყვათა მარაგის დასადგენად, ენათმეცნიერთა მიერ ნებისით თუ უნებლიეთ შერჩეულმა საწყისმა პოზიციამ და არაისტორიული პერიოდისთვის ჩატარებულ/ჩასატარებელი კვლევების დიდმა სირთულემ წარმოშვა სწორედ ის მოსაზრება, რომ, ფაქტობრივად, შეუძლებელია კაცობრიობის პირვანდელი ენის ლექსიკის რეკონსტრუქცია. თუმცა სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა და ენთუზიასტთა მხრიდან იყო და არის ამის მცდელობები, ამასთან ისეთი კი, რომ ძიება დაწყებულიყო დიამეტრულად საპირისპირო პოზიციიდან ანუ ეძებნათ არა მხოლოდ ჯერ კიდევ ნოსტრატული ენების ჩამოყალიბებამდე არსებული კაცობრიობის საერთო ენის ლექსიკური მარაგი, არამედ სულაც „ყოველივე ენის სათავე“ – **პირველი სიტყვა**, რომლის სახელდებაც ჩათვალა საჭიროდ იმ **ჰომომ**, რომელმაც მიზნად დაისახა, ქცეულიყო „**ჰომომეტყველუსად**“!

ამ საკითხთან მიმართებით, უპრიანად ვთვლით, რამდენიმე პწკარი მოვიყვანოთ გოეთეს „ფაუსტიდან“:

აქ სწერია, რომ პირველთაგან სიტყვა იყო.

უკვე შევჩერდი! სხვა რამ ცნება უნდა ვიპოვო!

სიტყვას მე ასეთ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებ,

თუმც მის სანაცვლოდ ჯერ არ ვიცი, სხვას რას ავირჩევ.

როგორმე უნდა გადავლახო ეს დაბრკოლება!..

იქნებ დავწერო: პირველთაგან იყო გონება.

მაგრამ თუ კარგად ჩაუკვირდი ამ პირველ სტრიქონს,

თავის ადგილზე არც გონება არ უნდა იყოს.

ქვეყნად ყველაფერს იგი ქმნის და განაგებს განა?

სჯობს დაიწეროს, პირველთაგან რომ იყო ძალა.

მაგრამ, რაც უფრო ვუფიქრდები, მით უფრო ნათლად

ვგრძნობ, რომ არც ძალა არ შეჰფერის დედანში ნათქვამს.

სული მშველის! და ჰა, საჭირო ცნებასაც ვაგნებ

და ვწერ თამამად, პირველთაგან რომ იყო საქმე.

გოეთეს გმირის ძიება უშედეგოდ მთავრდება. მის უნაყოფო მცდელობებს ბოროტი ძალა დასცინის და ამ სიტყვებით მოძღვრავს ფაუსტს:

ის, რაც ცოდნაში უმთავრესია,

როგორც წესია, ყველას თვალთაგან საგანგებოდ დაფარულია.

შემდეგ კი იგი თავის წიაღში

გადაიშლება იმის წინაშე,

ვისაც ეს ალბათ ფიქრდაც კი არ გაუვლია.

გავიხსენოთ კიდევ ერთი, სავარაუდოდ, მითური და ასევე კრახით დამთავრებული ისტორიაც იმ ე. წ. არაადამიანური ექსპერიმენტის შესახებ, რომელმაც, გარდა ასეთი შეფასებისა, სხვა მხრივაც მოახდინა საკუთარი თავის დისკრედიტირება.

აი, ეს ისტორიაც:

რომელიდაც აღმოსავლელი დესპოტის სასტიკი ბრძანებით, დაბადებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში უსიტყვო გარემოში გაზრდილი ბავშვის მიერ წარმოთქმული პირველი სიტყვა აღმოჩნდა *ბეკუსი* – ფრიგიულ ენაზე პურის აღმნიშვნელი ტერმინი.

ბუნებრივია, რომ ამ „აღმოჩენის“ ფრიად არალოგიკურმა შედეგმაც – ენათა სამყაროს ლაბირინთში გზის გასაკვლევად ტერმინთა ფრიად დაბურდული გორგლის სათავის მოძიებისას სიტყვა პურზე გასვლამ – გარკვეული როლი შეასრულა ზემოთ ხსე-

ნებული პესიმისტური მოსაზრების დამკვიდრებაში (და აქ ნაკლებად მნიშვნელოვანია, ჰქონდა თუ არა ამ ექსპერიმენტს რეალობაში ადგილი).

მსგავსი, მაგრამ გაცილებით სერიოზული კვლევების რიგში უნდა დავასახელოთ დიდი ქართველი მეცნიერის – **ნიკო მარის ე. წ. ოთხელემენტოვანი მოძღვრება**, რომელმაც რაღაც ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო აღიარება ვერ პოვა... თუმცა ვთვლით, რომ არა თუ სხვა მეცნიერთა, არამედ თვით მარის მიერვე სათანადოდ ვერ იქნა აღქმული და შეფასებული ამ მოძღვრების უმთავრესი მიღწევა – მკვლევარი თავის მტკიცებებს, როგორც წესი, ხომ ისეთი სიტყვების მწკრივითა მაგალითებზე აგებდა, რომლებიც **ერთმანეთთან წყლის ცნების მეშვეობით უკავშირდებოდნენ სემანტიკურად!**

ნათქვამია, „ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო“ (მოცემულ შემთხვევაში უმჯობესია ვთქვათ – არცთუ კარგად დავიწყებული) და ამ სტატიის ავტორი, ლინგვისტიკის სფეროში დილეტანტი, რომელსაც მანამდე არაფერი სმენოდა „ბეკუსის“ შესახებ, რამდენიმე ათეული წლის წინ ხელახლა დაადგა ზემოთ აღნიშნულ გზას, ოღონდ **არა პირველი ს ი ტ ყ - ვ ი ს, არამედ იმ პირველი ც ნ ე ბ ი ს მოსაძებნად**, რომლის სახელდებაც, უწინარეს ყოვლისა, უნდა დასჭირებოდა ამ „მეტყველუსობაზე“ პრეტენზიის მქონე ჩვენს შორეულ წინაპარს!

აქვე შევნიშნავთ, რომ ძიებათა პროცესისგან სასურველი შედეგის მისაღებად ზემო აბზაცში ხაზგასმული სხვაობა ფრიად არსებითად მიგვაჩნდა და მიგვაჩნია. გარდა ამისა, კვლევების პროცესში ჩვენ მიერ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მახვილდებოდა ობიექტებსა და მოვლენებს შორის არსებულ იმ კავშირებზე, რომელთა გამოვლენაც, ცხოვრების

წესიდან გამომდინარე, უნდა სურვებოდათ და შეძლებოდათ კიდევ ადამიანებს და, ბუნებრივია, მათი დაკვირვების შედეგი ენაშიც ასახულიყო მეტონიმიის, კონტამინაციის, გადააზრების თუ სიტყვათა წარმოქმნის სხვა მექანიზმების მეშვეობით. შესაბამისად, ზოგიერთი უძველესი ტერმინის ეტიმოლოგიაში გასარკვევად ფასეულად ჩავთვალეთ, დაკვირვებოდათ დღევანდელ პირობებშიც კი ნაკლებად ცივილიზებული წესით მცხოვრები ზოგიერთი ტომის საქმიანობას: როგორ ეძებენ ეს ადამიანები წყალს, აჩენენ ცეცხლს, აგებენ საცხოვრებელს და სხვა. ინტენსიურად მივმართავდით **ჯგუფური ემპათიის** მეთოდსაც – **რესპოდენტებს ვთავაზობდით, თავი წარმოედგინათ იმ არსების ადგილას, რომელიც ახლა აპირებს „ენის ადგმას“...**

კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებას გვსურს გავუსვათ ხაზი:

- როგორც ენათა სამყაროს ლექსიკის პირველი, ფესვური ელემენტის მოძიების, ასევე ამა თუ იმ კონკრეტული ტერმინის ეტიმოლოგიის დადგენის მცდელობისას ვემბდით და ვაანალიზებდით ფაქტებს მითოლოგიებიდან, ბიბლიიდან, სხვადასხვა მეცნიერული დარგიდან [3-4, 7-10], ხოლო ერთმანეთთან მათი შეჯერების მიზნით ვიყენებდით იმ მეთოდებს, რომლებიც წლებია გამოიყენება ინფორმატიკისა და მართვის სისტემების სპეციალისტების მიერ ამა თუ იმ საკვლევო ობიექტის შესწავლისა და მართვისთვის კომპიუტერული სისტემის შექმნის პროცესებში.
- ლექსიკის მარაგის უპირველესი ცნების მოსაძიებლად ინტენსიურად ვიყენებდით ასევე ანკეტირების მეთოდს, ვეყრდნობოდით რა

პრინციპს: „ის, რაც დაფარულია გენიოსებისთვისაც კი, შესაძლოა ვიცოდეთ ყველა ჩვენგანმა, თუნდაც ქვეცნობიერის დონეზე, ოღონდ... ერთობლიობაში“.

ვაგრძელებთ აღნიშნული მიმართულებით კვლევებს. მიზნად ვისახავთ, ენების წარმოშობა-განვითარების შესახებ ავტორის მიერ ადრე გამოქვეყნებულ შრომებში აღწერილ და ზოგ უახლეს კონცეფციაზე დაყრდნობით, მკითხველს წარმოვუდგინოთ ახალი ვერსიები ზოგიერთი საინტერესო ტერმინის ეტიმოლოგიური წარმოშობის შესახებ. ნაწილისთვის ვეყრდნობოდით მანამდე გაკვალულ იმ გზებს, რომელთა იქითაც მკვლევრები უკვე ვეღარ მიდიოდნენ. ეს ტერმინებია:

ქართლი, ანატორი, ანატოლია, ანგელოზი, ინგლისი, კიევი, მოსკოვი და სხვა.

შესავლის ბოლოს უპრიანია დავსვათ კითხვა:

რატომ ვთვლით, რომ სწორედ ქართულ ენას ძალუმს ენათა სამყაროსათვის გზამკვლევად მოგვევლინოს ამ წიაღსვლებში?!

მოგვყავს შემდეგი არგუმენტები:

1. ჯერ ერთი, არავინ უარყოფს სხვა ეთნოსების და მათი ენების მიერ უკვე შეტანილ თუ მომავალში შესატან წვლილს ამ კვლევებში, განსხვავებით იმ ვითარებისგან, რომელიც დღეს შექმნილია ქართველურ ენებთან მიმართებით. ნათქვამის დასტურად საკმარისია ასეთი ფაქტის მოყვანა: ვიკილექსიკონში – საიტზე, რომელმაც ბოლო ათწლეულში საოცარი პოპულარობა მოიპოვა, ტერმინთა ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას ნაკლებად ან თითქმის არ მოიხმობენ არტეფაქტებს ჩვენი ენიდან, მაშინ, როდესაც მათ ხშირ შემთხვევაში შესანიშნავად შეუძლიათ დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია შეას-

რულონ სხვადასხვა ენაზე არსებულ, შინაარსობრივად ერთმანეთისგან (თითქოსდა) მნიშვნელოვნად განსხვავებულ სიტყვებს შორის. მაგალითად, ასეთი ტერმინებია: *ტაბ, ბრეგი, ლასი, ლაპ, დონე* და მრავალი სხვა.

2. ქართული ენა ათასწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა. იგი ენაა, გადატანითი და პირდაპირი მნიშვნელობით, ცივილიზაციების გზაჯვარედინზე მყოფი ხალხისა, რომელმაც კაცობრიობას შესძინა ღვინისა და ხორბლის კულტურა და, თუ არ შექმნა, წინ წასწია მეტალურგიისა და მედიცინის დარგები, ხელოვნების ნიმუშებად აქცია საყდრისა და სვანეთში მოპოვებული ოქრო (ამ ქმედებებს კი, ცხადია, თან სდევდა ენაში შესაბამისი პლასტების გაჩენა). აქედან გამომდინარე, ლოგიკურია მოსაზრება – **ჩვენს ძალიან ძველ ენას კაცობრიობისათვის გაცილებით მეტი ჰქონდეს სათქმელი, ვიდრე ხდება ეს დღეს**, მით უფრო იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ, რაც უფრო შორს ვინაცვლებთ წარსულისკენ, მცირდება ეთნოსების ცხოვრების წესებსა და, შესაბამისად, მათ ენებს შორის განსხვავება და უფრო რელიეფურად იკვეთება საერთო ნიშან-თვისებები.

3. რა თქმა უნდა, ქართველმა ენათმეცნიერებმა ნიკო მარისა და დიდი ივანე ჯავახიშვილის შემდგომაც მრავალი კვლევა ჩაატარეს და უზარმაზარი შრომა გასწიეს ჩვენი ენის ღირსების წარმოსაჩენად, მაგრამ დღეს კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტის ეპოქაში, როდესაც ინტერდისციპლინურ მიდგომაზე დაყრდნობით ფართო გასაქანი ეძლევა ადამიანის მოღვაწეობის, ფაქტობრივად, ნებისმიერ სფეროში, ვთვლით, რომ ამ მიმართულებითაც უდავოდ მეტის გაკეთებაა შესაძლებელი და საჭიროც [5-6].

ძირითადი ნაწილი

მოცემული სტატია ავტორის მიერ ადრე გამოქვეყნებულების გაგრძელებაა, რაც მისი სათაურიდანაც ჩანს. ერთ-ერთ მათგანში, რომელშიც მტკვრის ეტიმოლოგიის საკითხს განვიხილავდით, აღნიშნული გვექონდა შემდეგი ფრიად საინტერესო და, რაც მთავარია, კვლევის სწორი მიმართულებით წასაყვანად განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტი [12]:

აზიაში მიედინება მდინარე, რომლის 5-მარცვლოვან სახელში შემავალი თითოეული ელემენტი ახლომახლო მცხოვრები და უკვე გამქრალი ხალხის ენებზე აღნიშნავს წყალს ან მდინარეს!!!

მოგვყავს ამონარიდი იმავე წყაროდან:

„მრავლისმეტყველი ინფორმაციაა! ჩანს, რომ ამ მდინარისთვის (და არა მარტო მისთვის, მრავალი სხვა როგორც მდინარის, ისე მეტონიმის წესით, ტოპონიმისთვისაც) სახელდების ფრიად გაწეილი პროცესი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა და, ბუნებრივია, დაექვემდებარებოდა მათემატიკაში კარგად ცნობილ ფენომენს – დიდ რიცხვთა კანონს, რომელიც შემთხვევითი პროცესების შესწავლისას გამოკვეთს მხოლოდ გლობალურ ფაქტორებს და ნიველირებას უკეთებს ფლუქტუაციებს, მაგალითად, ხალხური ეტიმოლოგიისათვის ასე დამახასიათებელ და ლინგვისტიკისათვის ცნობილ ე. წ. პოეტური აზროვნების შედეგებს“.

ენათა წარმოშობის შესახებ ათამდე მარტო მეცნიერული თეორია არსებობს. ვთვლით, რომ თითოეული მათგანი სწორია ზემოთ ციტატაში ნახსენები პოეტური აზროვნების ჩათვლით, თუმცა სწორია მხოლოდ **ნაწილობრივ** (ამ თეორიების მნიშვნელობის შეფასება შესაძლებელია მოხდეს სიტყვათა

მარაგის წარმოშობაში მათ მიერ შეტანილი წვლილის ოდენობით)! მაგრამ, პოეტურ აზროვნებას და მასთან დიდი დოზით კორელირებულ ხალხურ ეტიმოლოგიებს ხშირად მივყავართ აშკარად მცდარ დასკვნამდე. ნათქვამის დასადასტურებლად მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება:

- არცთუ იშვიათად ადამიანები ამა თუ იმ ტოპონიმის წარმოშობას, „პრესტიჟული“ მიზნებიდან გამომდინარე, ეტიმოლოგიურად აკავშირებდნენ რომელიმე ლეგენდარულ-მითური გმირის სახელთან, მაგალითად ამ ქალაქებისთვის: მცხეთა, რომი, პარიზი, კიევი, მოსკოვი, კრაკოვი... – მსგავსი, კონტამინაციად წოდებული მოვლენის პროდუქტი გახლავთ ხალხური ეტიმოლოგიით „ახსნილი“ ისეთი ტერმინების წარმოშობა, როგორცაა: მხარე **რაჭა**, სოფელი **ლევიტანა**, ზედსართავი **არამზადა** (ამჯერად მაგალითები მოგვყავს მხოლოდ ქართული სინამდვილიდან).

საინტერესოა, რომ არცთუ იშვიათად სწორედ კონტამინაციის მოვლენა – განსხვავებული სიტყვების ერთმანეთთან მიმსგავსების შედეგად მათი ეტიმოლოგიების გადააზრება – განაპირობებდა ენაში მოცემული ტერმინის დამკვიდრებას. გარდა ამისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ, როდესაც ხალხური ეტიმოლოგია, როგორც წესი, დავიწყებული გარემოებიდან ფრიად დაცილებულ განმარტებებს იძლევა, განსხვავებული ვითარებაა სიტყვების წარმოშობის პერიოდისათვის – **ახალ ტერმინებს სწორედ ხალხი ქმნის და ამკვიდრებს** (გამონაკლის შემთხვევებში კი კონკრეტული პიროვნებები, მაგალითად, დიდი მწერლები)! მართლაც, ტერმინების შექმნა-მოდინიფიცირების, მით უფრო დამკვიდრების

პროცესში უამრავი ადამიანი მონაწილეობს. ისინი საუკუნეების განმავლობაში იყენებენ როგორც ზემოთ აღნიშნული მეტონიმის, კონტამინაციის, გადააზრების და მშობლიური ენისთვის დამახასიათებელ სიტყვათა მოდიფიცირების მექანიზმებს, ასევე ჩვენ მიერ შემჩნეულ, ქვემოთ აღწერილ ზოგიერთ ხერხსაც. მაგალითად, არ გამოვრიცხავთ, რომ, ვთქვათ, ჰიდრონიმების სახელდება-მოდიფიცირების პროცესი განპირობებული ყოფილიყო არა მხოლოდ ასე მარტივად – არსებული სახელების უბრალოდ „შეწებებით“ (ამაზე უფრო დაწვრილებით შემდგომ ვიმსჯელებთ). შესაძლებლად ვთვლით, ესა თუ ის ტერმინი საბოლოო სახით დამკვიდრებული შინაარსობრივად და/ან ფორმის მიხედვით, მსგავსი ტერმინების, ასე ვთქვათ, „საშუალო არითმეტიკული“. თუ პრობლემის ხედვისთვის უფრო ვიწრო კუთხეს შევარჩევთ, დაახლოებით ამგვარ ვითარებასთან გვქონდა საქმე ზემოთ მოხსენიებული რაჭა, ლევიტანა და არამზადა ტერმინების წარმოშობა-დამკვიდრების პროცესში.

ზემოთ ნათქვამის უფრო ნათლად განსამარტავად მოვიშველიოთ ტერმინ **მოსკოვის** წარმოშობის მაგალითი (Москва ძველად რუსეთშიც მოიხსენიებოდა Московь-ის სახით, ხოლო საზღვარგარეთ მთელ ქვეყანას Московия-ს უწოდებდნენ). ეს საკითხი თავისთავადაც არის საკმაოდ საინტერესო და ლოგიკური, რადგან მის შესახებ მრავალმა ენათმეცნიერმა თუ უბრალოდ მოყვარულმა გამოთქვა თავისი აზრი. მოსაზრებათა სიმრავლის გამო, მოხდა მათი დაჯგუფება ტერმინის წარმოშობის სლავურ, ბალტიკურ და ფინურ-უგორულ თეორიებად. დაფიქსირდა ისეთი ცალკეული, ორიგინალური შეხედულებებიც კი, როგორიცაა, მაგალითად, მოს-

კოვის დაფუძნება ქართველების, კერძოდ მესხების მიერ. მაგრამ აქ განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ თითქმის ყველა მეცნიერი აღნიშნული ტოპონიმის წყაროდ მიიჩნევს **ჰიდრონიმს**, ამა თუ იმ ფორმით წარმოდგენილ მდინარე Москва-ს.

ჩვენი მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ასეთია (შევნიშნავთ, რომ განვიხილავთ კონკრეტულ ტერმინს, მაგრამ პრობლემა უფრო ზოგადი სახით გვანტერესებს):

1. პირველ ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ არ გამოვრიცხავთ არსებობის უფლებას აქამდე გამოთქმული **თითქმის** ყოველი ვერსიისთვის, შემდეგი ვითარებიდან გამომდინარე: ამ ქალაქში ასზე მეტი პატარა მდინარე და ათასამდე ტბა-ტბორი არსებობდა, რომელთა დიდი ნაწილი დღეს ან მიწისქვეშაა მოქცეული, ან ამოშრობილია (დიდი ქალაქებისთვის ფრიად დამახასიათებელი, ნაცნობი სიტუაციაა). ბუნებრივია, რომ წყალსაცავების მიმდებარე ტერიტორიებზე საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა როგორც მცხოვრებთა ეთნიკური შემადგენლობა, ისე დასახლებული პუნქტების საზღვრებიც. ასევე ლოგიკურია, ჯერ კიდევ შორეულ ეპოქაში ადამიანებს მათთვის სასიცოცხლო დანიშნულების ტბისა თუ მდინარისათვის დაერქმიათ არა მარტო ეტიმოლოგიურად **წყლის ცნებასთან** დაკავშირებული, არამედ ფონეტიკურადაც ახლოს მდგომი სახელები (მით უფრო, როცა საუბარია ძირითადად ინდოევროპული წარმოშობის ხალხებზე). ამასთან, ვთვლით, რომ ზოგიერთი ამ სახელწოდებათაგანი, მაგალითად, სლოვაკური mo^zga (ტბორი) და პოლონური და გერმანული Mozgawa (მდინარეთა დასახელება) უფრო საფუძვლიანი განსჯის საგნად უნდა ქვეყლიყო... საქმე

ისაა, რომ სლავური და ბალტიკური ვერსიების განხილვისას (მოსკოვის სახელდებასთან მიმართებით სპეციალისტები მათ ანიჭებენ უპირატესობას) ყურადღება მახვილდება მოსაზრებაზე, რომ ჰიდრონიმის საფუძველი გახდა ტერმინები: «жидкий, топкий, сырой, слякотный» [13].

2. არსებობს ვერსია, რომ ტოპონიმის უძველესი ფორმა გახლდათ **не засвидетельствованная в письменных памятниках** (ხაზი ჩვენი) ფორმა **Москы** [13], რომელსაც შემდგომ ნათესაობითი ბრუნვის აღმნიშვნელი ფორმანტი დაემატა, მაგრამ იგი ტოპონიმის სახელდებას წინააღმდეგობაში მოდის წყაროდ ჰიდრონიმის პრიორიტეტულობაზე.

3. გარკვეულ ფაქტებსა და მათი გაანალიზების შედეგად გამოტანილ დასკვნებზე დაყრდნობით, ზემოთ აღნიშნული „არსებობის უფლების“ საფუძველზე, ამ ქალაქის სახელდებასთვის წარმოგიდგინებ შემდეგ, ვფიქრობთ, ორიგინალურ ვერსიას, რომელშიც აქცენტი კეთდება **Московь** ტერმინში შემავალ მეორე მარცვალ **ковь**-ზე, ჩვენი აზრით, იმავე **гов (хов)**-ზე. ეს მარცვალი ასეთი ან რამდენადმე მოდიფიცირებული სახით ფიგურირებს სლავურ არეალში მოქცეული საკმაოდ ბევრი ჰიდრონიმის სტრუქტურაში, მეტიც, არ გამოვრიცხავთ მის კავშირს, მეტონიმის წესით, ისეთ ტერმინებთან, როგორცა: რუსული **говор**, სომხური **გავარ** და ქართულ **გვარი**. **მათი საერთო, შორეული წინაპარი კი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს უძველესი წარმოშობის ხევ/ტერმინი** [12]. **Ков** მარცვალი სლავურ სივრცეში ფიგურირებს ისეთი მნიშვნელოვანი ჰიდრონიმებისა და ტოპონიმების დასახელებებში, როგორიცაა: **Харьков, Псков, Краков**,... სასეებით შესაძლებლად მიგვაჩნია ამ ნუსხაში **კიევის** გამწესებაც! განსაკუთ-

რებით საინტერესო ისაა, რომ ამ ტერმინების ეტიმოლოგიის შესახებ მეტ-ნაკლებად არგუმენტირებული ვერსიები არ არსებობს (თუ არ ჩავთვლით ე. წ. ლეგენდარულ, როგორც წესი, ზღაპრულ მოსაზრებებს, რომლებიც ტოპონიმ-ტერმინების წარმოშობას ამა თუ იმ მითური გმირის სახელთან აკავშირებს). გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ბელორუსსა და პოლონეთში არსებობს **Мостково** სახელის მქონე დასახლებული პუნქტები, უკრაინაში კი **Мостковский** რაიონი. არ გამოვრიცხავთ, ამ სახელწოდებებში ფიგურირებდეს ტერმინი **мостки**, მაგრამ უფრო საფუძვლიანად მიგვაჩნია, შემდეგი გარემოებიდან გამომდინარე, ჩვენეული ვერსია: როგორც ცნობილია, დასახლებული პუნქტები მეტწილად შენდებოდა მდინარის შევიწროებულ, შემადლებულ ადგილას, საიდანაც ადვილდებოდა ხიდის გადება მეორე ნაპირზე გადასასვლელად. ასეთ ადგილს სლავურ ენებში **мыс** ეწოდება და ითვლება, რომ მისი ეტიმოლოგია უცნობია. ჩვენ კი ვთვლით, რომ **мыс ტერმინის წარმოშობა წყლის ცნებას უკავშირდება და მან, თავის მხრივ, დაბადა место** (ადგილი), **місто** (უკრ. ქალაქი) და **мост სიტყვები** (ისე კი, ამ ტერმინის წყლის ცნებათან კავშირი მრავალ ენაზე შეიმჩნევა, რაც მისი წარმოშობის უძველეს პერიოდზე მეტყველებს).

4. ამრიგად, ჩვენი ვერსიით, **Мос(т)+ковь**-ად სტრუქტურირებულ ტერმინში არ გამოვრიცხავთ პირველი მარცვლის თავდაპირველად **мост** სახით არსებობას და **Мост+ковь** ტერმინით ქალაქის ამა თუ იმ ნაწილთა სახელდებას (ცნობილია, რომ ამ ქალაქში უამრავი მდინარე გადიოდა და მათზე ხიდების გადება მეტად საშური საქმე იქნებოდა!).

5. დასასრულად, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ე.წ. „საშუალო არითმეტიკულზე“ მსჯელობისას, შესაძლებლად ვთვლით **Мос(т)+ковь** ტერმინს (სხვებთან თანამშრომლობაში) ქალაქისთვის საბოლოო სახელწოდების ფორმირებაში.

შენიშვნა. ტერმინ „მოსკოვის“ ეტიმოლოგიის შესახებ ზემოთ მოტანილი მსჯელობანი ორიენტირად გამოდგება სხვა, მსგავსი საკითხების განხილვის დროსაც. კერძოდ, შესაძლებლად ვთვლით, რომ ერთმანეთთან დაკავშირდეს დღეს „დაუკავშირებელი“ ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: გერმ. *Berg, Burg (-burg), Brucke*, სლავური *бегер* და ქართული ენის სამყაროდან სიტყვები: *ბრეგი, ბრეკი (იბერ. და ლეჩხ. დიალექტებში - შემადღებელი ადგილი, კონცხი), ბრგე, სავარაუდოდ ბურჯი (საბა შემოსულად თვლის, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ იგი კაცობრიობის უძველესი ლექსიკის შემადგენელი ერთ-ერთი ტერმინია), ბარჯი და დაბარჯვა. მაშასადამე, ამ საქმეში ქართულ ენაში არსებულ არტეფაქტებსაც ძალუბთ შეასრულონ გარკვეული როლი.*

სტატის ამ მონაკვეთისათვის დასკვნის სახით:

ჩვენ მიერ ადრინდელი თუ აქ აღწერილი კვლევების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გამოვდიოდით ასეთი მოსაზრებიდან - თუ ენების სამყაროში საწყისი ლექსიკის შემადგენელი ტერმინებისათვის, ხატოვნად რომ ვთქვათ, ნაპოვნი იქნება „არიადნას ძაფის წვერო“ (ასეთად კი ადრე ჩატარებული კვლევებით წყლის ცნებაზე გავედით), მაშინ მისი მეშვეობით უნდა გაადვილდეს ენათა სამყაროს ლაბირინთებში გზის გაკვლევა, ტერმინთა იმ უზარმაზარი გორგლის გაშლა, რომელშიც „მშობელი-შვილი-შვილიშვილი“ სქემით თუ რაიმე ასოციაციით ლოგიკურად ერთმანეთს დაუკავშირდება

აქამდე „ცა და მიწასავით განსხვავებულ“ სიტყვათა ერთეულები!

წინამდებარე სტატია სწორედ ასეთი მიმართულებით გაგრძელებულ კვლევათა შედეგების წარმოჩენას ისახავს მიზნად.

...

თუ საუკუნეთა სიღრმისკენ ავიღებთ გეზს, ნათელი გახდება, რომ ადამიანის მიერ ცნებების (პირველ რიგში, მდინარეების და, ზოგადად, წყალსაცავების) სახელდების და მომდევნო ხანებში ამ სახელების დივერსიფიცირების პროცესი გამორიცხავდა ზემოთ ნახსენები პოეტური აზროვნების გავლენას, რაც ნათლად იკვეთება უკვე აღნიშნული 5-მარცვლოვანი და ქვემოთ ჩამოთვლილი მრავალი ჰიდრონიმის ფორმირების მაგალითებზე. ჩანს, რომ საუკუნეების განმავლობაში მათი სახელდების პროცესი წარიმართებოდა შემდეგ უმარტივეს ალგორითმზე დაყრდნობით:

მდინარე/წყალი (ამა თუ იმ ტომის ენაზე) + მდინარე/წყალი (სხვა ტომის ენაზე) + ...

5 მარცვლისგან შედგენილი კონკრეტული ჰიდრონიმის სახეცვლილების მაგალითი დიდ რიცხვთა კანონის პრაქტიკაში რეალიზების ერთ ფრიად შთამბეჭდავ ილუსტრაციად წარმოგვიდგება, მაგრამ მარტო ქართული სინამდვილიდან (დანარჩენების შესახებ სხვა დროს ვიმსჯელებთ) შესაძლებელია მრავალი ისეთი ჰიდრონიმის დასახელება, რომელთა სტრუქტურა ერთმნიშვნელოვნად გვაუწყებს, რომ საქმე გვაქვს ორი (ზოგჯერ მეტი) კომპონენტისგან შედგენილ სახელთან [12].

ესენია:

1. 2-ელემენტური კომპოზიტის ფორმის მქონე შემდეგი ჰიდრონიმები;
 - არხოსწყალი, აჭარისწყალი, ბაკურიანის-წყალი, ..., ხობისწყალი;
 - ავანისხევი, აკუმოსხევი, ..., ჭართლისხევი, ჭერათხევი;
 - ადიშისჭალა, დოღრაჭალა და სხვა.
2. საქართველოში ასევე გვხვდება 3 კომპონენტისგან შედგენილი ჰიდრონიმებიც: წყალტუბოსწყალი, შავწყაროსწყალი.

ლინგვისტიკაში ცნობილია დიდ რიცხვთა კანონის გამოვლენის კიდევ ერთი მაგალითი – დადგენილია, რომ დიდი მდინარეების სახელები გაცილებით იშვიათად იცვლება, ვიდრე – მცირეთა, რასაც ასევე ფრიად ლოგიკური ახსნა აქვს.

სწორედ ამგვარი, განზოგადებული სახის ფაქტოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით (რომელიც უკვე დაფიქსირებულია ენათმეცნიერთა მიერ) და ზოგიერთი, აქამდე შეუმჩნეველი კანონზომიერების გათვალისწინებით (აქ ძირითადად მხედველობაში გვაქვს სტატიის ავტორის მიერ ადრე გამოქვეყნებულ შრომებში ენის (ენების) წარმოშობისათვის შემოთავაზებული 3-ეტაპიანი სქემა [9,11]), ქვემოთ განვიხილავთ ახალ ეტიმოლოგიურ ვერსიებს რამდენიმე საინტერესო სიტყვისთვის კაცობრიობის უძველესი ლექსიკის მარაგიდან.

თავდაპირველად გვსურს, ხაზი გავუსვათ შემდეგ გარემოებას:

საერთოდ, სიტყვათა ეტიმოლოგიის დადგენა რომ რთული საქმეა, ამას მოწმობს ასეთი ფაქტიც – შესაბამისი პროფილის ლექსიკონებში დარგის სპეციალისტები ტერმინთა უმრავლესობისათვის, როგორც წესი, ამოსავალ ცნებად რამდენიმე და ხში-

რად სრულიად განსხვავებული დატვირთვის მქონე (ანუ ურთიერთგამომრიცხავ) ვერსიას ასახელებენ.

აქედან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ:

არა იმდენად, მაგალითად, რომელიმე კონკრეტული მდინარის ეტიმოლოგიაში გარკვევა (თუმცა, ცხადია, ესეც!), არამედ, საერთოდ, ჰიდრონიმების სახელების პროცესის უფრო ფართო კუთხიდან დანახვა (მასში მეტი ზოგადობის აღმოსაჩენად), შემდეგ კი, დედუქციის მეთოდზე დაყრდნობით, „ქვემოთ დაშვება“ და კონკრეტული მდინარისთვის, არსებულბთან შედარებით, უფრო დამაჯერებელი ეტიმოლოგიური ვერსიის შემოთავაზება.

შენიშვნა. პრობლემის დანახვა-გადაწყვეტისადმი ასეთი მიდგომა შესაძლებელია შევადაროთ დედამიწაზე მიმოქცევაში მყოფი წყლის უზარმაზარი მასის მოძრაობის მიმართულებაში გარკვევის მცდელობას. მაშინ, როდესაც „თვალსა და ხელს შუა ჩატარებული“ ექსპერიმენტის შედეგი, სად წავაიატაკზე თუ მიწაზე დაქცეული ჭიქა წყალი, დიდად ინფორმაციული ვერ იქნება, გაცილებით შორი მანძილიდან (კოსმოსიდან) დედამიწაზე არსებულ წყალსატევებზე დაკვირვება ადვილად გასცემს პასუხს კითხვაზე: როგორი გახლავთ პლანეტაზე წყლის მოლეკულათა უძირითადესი მასის (და არა რომელიმე კონკრეტული მოლეკულის) მოძრაობის ტრაექტორია.

მოსაზრება, რომელიც გამოვთქვით **ჰიდრონიმების წარმოშობის შესახებ**, ლოგიკურია გავავრცელოთ მრავალი კონკრეტული თუ ზოგადი შინაარსის **ტოპონიმზეც**. იგივე ითქმის ყველა იმ ტერმინის შესახებაც, რომელთა სახელებს განაპირობებდა მათი ამა თუ იმ სახის შემხებლობა წყლის ცნებასთან.

შემდეგ *ჰიდრონიმის – ტოპონიმის* სახის გადასვლები მხოლოდ ერთი მიმართულებით არ ხდებოდა. თუმცა, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ უძველეს ხანაში მეტწილად ჯერ **ხდებოდა მდინარის სახელდება ადგილზე დასამკვიდრებლად** მოსული ტომის წარმომადგენლების მიერ (მათ ენაზე წყლის ცნების გამომხატველ ზოგად სახელზე დაყრდნობით), შემდეგ კი, მეტონიმის წესით, ტოპონიმებისა და ადგილზე მდინარის (ტბის) თვისებების, თავისებურებათა გამომხატველი ქმედების, ატრიბუტების აღსანიშნავად ახალი, უკვე დამოუკიდებელი შინაარსის მქონე სიტყვების მოფიქრება [12]:

1. მართლაც, ფრიად ლოგიკურია, რომ ენის შექმნის იმ შორეულ პერიოდში, როცა ადამიანი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა (მიწათმოქმედებით ის შემდგომ დაკავდა), სწორედ ჰიდრონიმები (ზოგადი სახის ტერმინები: *წყალი, მდინარე, ტბა, წყარო, რუ...*) გამოსულიყო კონკრეტული ტოპონიმებისთვის „მშობლის“ როლში, მაგალითად, *ვებისისთვის – ვება* ანუ მჟავე წყალი. მეტიც, სწორედ წყალთან პირდაპირი თუ ირიბი შემხებლობის პროდუქტად გვესახება ზოგადი სახის ტოპონიმებიც: მიწა (შდრ. სითხესთან დაკავშირებულ სიტყვებს: *მაწიერი, მაწონი, მაჭარი, მუჯა (მჟავე წყალი), მუჭი...*); დაბა (ტაფობი, დაბლობი) – წარმოშობილი უძველესი ტ(ა)ბა ტერმინისგან, ასევე სიტყვები: რიყე, ვაკე და სხვა.

2. მიგვაჩნია, რომ შორეულ წარსულში არა ტერმინებმა *თბილმა, ცივმა* და სხვა მისცა დასახელება ჰიდრონიმებს და მეტონიმით – ტოპონიმებს, არამედ ტბებსა და მდინარეებში წყლის თვისებებმა (მოცემულ შემთხვევაში – ტემპერატურამ) განაპირობა ზემოხსენებული ტერმინების წარმოშობა.

დრონი მეფობენ... ტომი ტომს ცვლის, ადგილიდან განდევნის ან ერთი მეორეში ითქვიფება. შესაბამისად, ვთვლით, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული, მდინარის სახელდებისათვის პრიორიტეტული უნდა ყოფილიყო იქ მოსახლე, სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანების მიერ მათი მაცოცხლებელი წყალსატევისათვის დარქმეული სახელების „შეწებების“ ის წესი, რომლის განსაკუთრებით შთამბეჭდავი მაგალითი ზემოთ მოვიყვანეთ 5-კომპონენტანი ჰიდრონიმის სახით (და არა მართლაც ეს მაგალითი).

აღვნიშნავთ, რომ სახელთა დაწყვილების ფენომენი არც ტოპონიმებისთვის გახლდათ უცხო. ოღონდ ამ შემთხვევაში, ტერიტორიული სიახლოვის გარდა, კომპოზიტის დაბადების მიზეზად შესაძლოა ქცეულიყო მოცემულ პერიოდში არსებული პოლიტიკური ვითარებაც.

მოვიყვანოთ შესაბამისი მაგალითები:

ამერ-იმერი, ჭარ-ბელაქანი (ისტ. კაკ-ენისელი), კოლა-არტანი, ქართლ-კახეთი, ფშავ-ხევსურეთი, ერწო-თიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია-სამეგრელო, ტაო-კლარჯეთი, ასევე, გარკვეულ ისტორიულ პერიოდებში: ავსტრია-უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია და სხვა.
ვაგრძელებთ:

ძალიან ხშირად ჰიდრონიმებისა და ტოპონიმების სახელდებას განაპირობებდა ის გარემოება, რომ ადამიანების მიერ სამოსახლო მეტწილად ფუძნდებოდა **ორი მდინარის შეერთების** ადგილას, გამომდინარე შემდეგი ფაქტორებიდან:

- ასეთი ადგილი, როგორც წესი, გახლდათ შემაღლებული პუნქტი, მტრის თავდასხმებისგან დაცული ბორცვი, **სიმაგრე, ციხე**, საიდუმლო გვირაბების მემვეობით წყლით უზ-

რუნველყოფილი და, როგორც წესი, იქვე მდებარე მეორე ნაპირზე გადასასვლელი ხიდის დაცვის ფუნქციის მქონეც (ხშირად მათ სახელდებაში ამ აზრაცში ხაზგასმული ტერმინები მონაწილეობდა).

- მდინარეთა შეერთების ადგილის მიმდებარე ტერიტორია (წყალ-ჭალა) გაზაფხულზე ნოციერდებოდა წყლის მიერ მოტანილი შლამით, რასაც, მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგი ადგილების შერჩევისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ლოგიკურია, შეერთებული ნაკადისა და დასახლების სახელად შერჩეულიყო ამ მდინარეთა სახელებისგან წარმოქმნილი კომპოზიტი [12].

საცხოვრებელი ადგილისთვის სახელის დარქმევისას მოქმედებდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი:

ადგილზე დაფუძნებული, მიწათმოქმედი ადამიანებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის (ხვნათესვა და ა. შ.) დაწესებული ვადების ცოდნა (არ გამოვრიცხავთ არც თვით შთამომავლობის ჩასახვისთვის დაწესებული „ლიმიტების“ აღსრულების დროში გარკვევას!).

ამ მიზნის მისაღწევად ჩვენში უძველესი დროიდან გამოიყენებოდა მეტად პრიმიტიული სახის ნაგებობა – მზის საათი, წარმართული ძეგლების ის პირველსახე, რომელთა ნაშთები ჩვენს მთიანეთში დღემდეა შემორჩენილი.

მკვლევარ გიორგი გიგაურის თქმით, მთაში „ამინდის 'სამინისტროს' განაგებდა **მემარგე**, რომელიც მზესა და მთვარეზე დაკვირვებით პროგნოზირებდა, როდის დადგებოდა ახალი წელი; თვე,

სეზონი წვიმიანი იქნებოდა თუ ცხელი და ა. შ. ანუ ეს ნაგებობა ერთგვარი ხალხური ობსერვატორია იყო ხევში...“.

მემარგის მიერ ჩაბარებული **ანგარიშების** (დავიხსომოთ ეს ტერმინი!) სისწორეს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

მნათობებზე დაკვირვება მოითხოვდა საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი დიდი ცოდნის ათვისება-გამოყენებას. ჩანს, რომ ჩვენი მემარგეები, ვარსკვლავთმრიცხველები, ქურუმები (საბას მიხედვით, მისნები) ამ ცოდნას თავისი დროისათვის საკმაოდ კარგად ფლობდნენ, რის შესახებაც მეტყველებს:

- შოთას პოემა და საბას ლექსიკონი;
- ის ფაქტი, რომ ე. წ. *განდობილებისგან* საკრალური ცოდნის მოსაპოვებლად საქართველოს სტუმრობდნენ გრაფი ვალევსკი თუ სხვა ეზოთერიკოსები;
- აკად. ნიკო ბერძენიშვილის გადმოცემით, ი. სტალინი სწორედ ქართველ ქურუმთა ინსტიტუტს მიიჩნევდა ვარსკვლავთმრიცხველური და იმდროინდელი ინჟინრული ცოდნის მფლობელად.

ამრიგად, დასტურდება ფაქტი, რომ უძველესი ცივილიზაციების მიერ „ორჯერ ამომავალი მზის ქვეყნად“ შერაცხულ საქართველოში ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებიც ასტრონომიის სფეროში ცოდნას და მნათობებისადმი თაყვანისცემას ფრიად პრაგმატულ მიზნებთან ათავსებდნენ. ამასთან, ამინდის პროგნოზის გათვლა-განგარიშება ჯერ კიდევ უძველესი პერიოდიდან ხდებოდა იმ წარმართულ სალოცავებში (უძველეს ობსერვატორიებში), რომლებისთვისაც სპეციალურად შერჩეული ადგი-

ლები შემდგომში, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, ქრისტიანულმა ტაძრებმა დაიკავა.

ადრე გამოქვეყნებულ სტატიებში [2,14] გამოთქვით მოსაზრება, რომ ჩვენი წინაპრების სათაყვანო ობიექტებისგან შემდგარ სამკუთხა სტრუქტურას – სამეულს, მთებზე განთავსებული მზისა და მთვარის (ხშირად ქალსა და მამაკაცთან გაიგივებული) კერპებით, მესამე წვეროში კი ამ ნიშნულებზე დაკვირვების პუნქტით, ლოგიკურია, გამოძახილი ეპოვა თეონიმ-ტოპონიმების დასახელებასა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ტერმინების შექმნისას.

კერძოდ, მივიჩნით, რომ „მზის ორჯერ ამოსვლის“ ადგილას მდებარე ხევსურეთის სოფელ ანატორის სახელი კომპოზიტია და მასში ფიგურირებს ან (მთვარის) და ტორ (მზის) აღმნიშვნელი კომპონენტები. შდრ. სიტყვები: *ტაროსი, ტარი, დრო, თარიღი*. საინტერესოა, რომ ბოლო ტერმინი სხვა ენებშიც გვხვდება, რაც მის შორეულ წარსულში წარმოშობაზე მეტყველებს.

იმავე აზრის ვართ ანატოლიის, ისტორიული საქართველოს მხარის სახელწოდების შესახებაც! ასევე არ გამოვიცხავთ, რომ ზემოთ აღნიშნული ფაქტორი მოქმედებდა ბასკეთის მეზობელი, უცნობი ეტიმოლოგიის სახელწოდების მქონე ქვეყნის, ანდორას (Andorra) სახელდებისას.

მიზანშეწონილად ვთვლით კიდევ ერთი საინტერესო ფაქტს, რომელიც, ვფიქრობთ, საფუძვლიან არგუმენტს სძენს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას:

ახალ ზელანდიაში, ერთ-ერთ სამხრეთ კუნძულზე, ტასმანიის ზღვასთან პატარა მდინარის შეერთების ადგილას გაშენებულია ანატორის სახელის მქონე პატარა დასახლება (პუნქტის სახელდება,

უნდა მომხდარიყო იქ ევროპიდან ჩასულ ახალმოსახლეთა მიერ). მასზე გამავალ მდინარესაც ანატორი (Anatori River) ჰქვია და განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ ისიც წარმოიშვა ორი ნაკადულის შერწყმით.

ვაგრძელებთ თემას:

რადგან დასახლებული პუნქტები ძირითადად 2 მდინარის გადაკვეთის ადგილას შენდებოდა, ზემოთ ხსენებულ „სამკუთხედში“ დაკვირვების პუნქტისთვის ადგილი აპრიორი განესაზღვრათ, დანარჩენი ორი წვეროსთვის კი, ბუნებრივია, უფრო მოხერხებულია ნიშნულებად მდინარეთა გაყოლებაზე მდებარე ქედებისა თუ გორაკების შერჩევა. ამრიგად, გამორიცხული არ არის მდინარეთა შეერთებული სახელები ქვეულიყო როგორც ჰიდრონიმ/ტოპონიმად, ისე თეონიმად და, დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე, ამ ნიშნულებისთვის დაერქმიათ მზის და მთვარის (ქალის და მამაკაცის) აღმნიშვნელი კომპოზიტი სახელები.

ზემოთ თქმულზე დაყრდნობით, შესაძლებელია როგორც ტერმინი ანატორი, ისე, ამა თუ იმ ასოციაციით, „წყვილმდინაროვან არეალთან“ დაკავშირებული მეტად ძველი, სხვადასხვა შინაარსის მქონე სიტყვები 2-მარცვლოვან კომპოზიტად წარმოვადგინოთ!

ჩანს, რომ უხსოვარი (არაისტორიული) დროიდან ადამიანები არა მარტო ჰიდრონიმებისა და ტოპონიმების სახელდებისათვის მიმართავდნენ უკვე არსებულ სახელწოდებათა ერთმანეთთან მიერთების ხერხს. გარკვეულ შემთხვევაში კონტამინაციის, გადაზრების ან რაიმე სახის ფონეტიკური ცვლილებების შედეგად იქმნებოდა სხვა, სრულიად ახალი შინაარსის კომპოზიტ-ტერმინებიც, მაგალითად:

თერ + გ(ვ)-იდან (შდრ. თერგვაული) - თერგი და თორღვა;

მიჟ + ან-იდან (მიჟ – სვანურად მზის აღმნიშვნელია) – მიზანი და მისანი;

მატ+კურ-იდან – მტკვარი, მატკვარცანა, მტკნარი;

ენ + გურ-იდან კი (ჩვენ ამ მდინარის სახელწოდებაც კომპოზიტად გვესახება, რომლის „ენ“ და „კურ“ მდგენელები, დიდი ალბათობით, წყლის აღმნიშვნელი ტერმინები უნდა იყოს, ამასთან, არა მარტო დასავლეთი შავიზღვისპირეთის არეალის ფარგლებში);

- **ანკარა** (ზედსართავი სახელი, ძირითადად წყალსატევებისთვის);

- **ანკარა** (ტოპონიმი – თურქეთის დედაქალაქი, მდებარეობს ანატოლიის ცენტრში, ორი მდინარის შეერთების ადგილას, რომელთაგან ერთ-ერთის სახელი ასევე **ანკარაა**);

- **ანკარა** (ტოპონიმი – მიტოვებული სოფელი ონის მუნიციპალიტეტში);

- **ანარკია** (ტოპონიმი – დღევანდელი ანაკლია. ეს სოფელი მდებარეობს ენგურის ზღვასთან შეერთების ადგილას. სახელწოდების *აკივლებულად* (მეგრ.) გადააზრება ხალხური ეტიმოლოგიის „ქმედითობის“ ტიპური ნიმუშია. საყურადღებოა, რომ იქვეა სოფელი ე(ნ)გრეტა),

- **ანგურა** (იგივე აგუნა, სამეგრელოში - ჯუჯელია), დასავლეთ საქართველოსა და კლარჯეთში მევენახეობა-მელვინეობის მფარველად აღიარებული ღვთაება [16]. ჩვენი ვარაუდით, ამ სიტყვიდან უნდა მომდინარეობდეს:

- სიტყვა **ანგლობა** - მელვინეობის, შესაძლოა, ზოგადად, მოსავლის მფარველი ღვთაებისადმი მიძღვნილ დღესასწაულთან კავშირში

მყოფი ტერმინი (ქართული ენა მდიდარია წარმართთა ზეობის ეპოქაში წარმოშობილი და შემდგომ ხანებში შერისხულ-დისკრედიტირებული სიტყვებით [15]).

- **აგუნა/ანგურა** ღვთაება ჩვენში ბახუს-დიონისეს ტოლფასი ფიგურაა, საინტერესოა, რომ ზოგ შორეულ ეთნოსში (ინდონეზია, იავა, სუდანის) სიტყვა **anggur** ღვინის აღმნიშვნელად გვევლინება!
- ერთ-ერთ ნაშრომში ვწერდით, რომ გადმოცემით ხევისბერებს და ქადაგებს საკრალური ინფორმაციის მისაღებად დაწესებული რიტუალების აღსრულებისას თავიანთ აღქმებში **სულიწმიდა** ევლინებოდათ მტრედის სახით [2]. ვვარაუდობთ, რომ სწორედ ამ ფენომენმა მისცა საფუძველი სიტყვა **ანგელოზის/ἄγγελος** სახელდებას (ყ ასოთა წყვილი ბერძნულში იკითხება, როგორც ნგ), ტერმინის, რომელიც მკვლევართა ვარაუდით, ძველმა ბერძენებმა უცნობი აღმოსავლური ენიდან ისესხეს! აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ *ანგელოზ* საბა *ქადაგთან* აიგივებს.
- **ანგარიში** – მემარგეტა მიერ ამინდის პროგნოზისთვის საჭირო ქმედებების (გათვლების) აღმნიშვნელი სიტყვა (გადააზრებით - ანგარება). საქმე ისა, რომ მზის, მთვარის, პლანეტების მოძრაობაზე დაკვირვებისას განსაკუთრებული როლი ენიჭება **მნათობთა მიერ შექმნილი კუთხის და ფიქსირებას სპეციალურად შერჩეულ ნიშნულებთან მიმართებით** და, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ გავლავთ ანგურ, ანგარიშ და მრავალ ინდოევ-

როპულ ენაზე კუთხის (ასევე, ღუზის) აღმნიშვნელი ტერმინების ურთიერთმსგავსება.

- შესაძლებლად ვთვლით, ბერძნების მიერ ნა-სესხები ეს ტერმინი (დღემდე დაუდგენელია, სახელდობრ რომელი აღმოსავლური ენიდან) წარმოადგენდეს მთვარისა და მზის ღვთაებების მაიდენტიფირებელი ან და გურ (გერ, გელ, ხელ, ჰელ) ტერმინების შეერთებით მიღებულ კომპოზიტს. ამასთან, არ გამოვრიცხავთ, რომ შემდგომ ხანებში ეს თეონიმი გარკვეული სახეცვლილებით ტოპონიმადაც იქცა აქამდე გაურკვეველი ეტიმოლოგიის მქონე ტოპონიმ ინგლისისათვის. ამ ქვეყნის უძველესი სახელწოდება დაფიქსირებულია ლათინურ ენაში და გახლავთ **Anglia**, მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, „ნათლიების“ როლში მოგვევლინენ ქართველების (პროტოქართველების) შორეული ნათესავები: ბასკები და/ან კელტები.

...

რა თქმა უნდა, სიტყვათა ეტიმოლოგიების კვლევები ზუსტ მეცნიერებათა სფეროს არ განეკუთვნება და ძნელია ამა თუ იმ ტერმინის წარმოშობის შესახებ ჭეშმარიტების ფლობაზე პრეტენზია განაცხადონ დარგის თუნდაც მეტად კვალიფიციურმა სპეციალისტებმაც კი! მაგრამ, თუ ძიების პროცესში მოცემული ჰიპოთეზის სასარგებლოდ დაგროვდება საკმაო რაოდენობის ფაქტები (წარმოვიდგინოთ ისინი ვითარების ამსახველი მოზაიკის ელემენტებად!), რაღაც მომენტში ძალაში შევა ამ სტატიაში ზემოთ ნახსენები დიდ რიცხვთა კანონი, რის შედეგადაც სურათის ბუნდოვნება იმდენად შემცირდება, რომ უკვე წარმატებით შეგვეძლება

ვამტკიცოთ – ჩვენს წინაშეა, მაგალითად, არა აფრიკის (ან არქტიკის) პეიზაჟი, არამედ ადამიანის პორტრეტი (ეტაპობრივად: ჯერ მხოლოდ მამაკაცის, მერე წვეროსნის, ბოლოს მარქსის და არა ენგელსის (ან პირიქით)).

აქვე შევნიშნავთ, რომ (ზოგადად გაგებულ) გამოსახულებების გამოცნობა ინფორმატიკისა და მომიჯნავე დისციპლინების ერთობლივი კვლევის საგანია ანუ გახლავთ რთული პრობლემების გადასაწყვეტად ინტერდისციპლინური მიდგომის გამოყენების ასპარეზი. ბოლო ათწლეულებში მეცნიერთა ძალისხმევით ამ სფეროსათვის შეიქმნა ზემოთ მოხსენიებული სპეციალური მეთოდების მთელი არსენალი, რომელთა ეფექტიანობა არაერთხელ დამტკიცდა.

ლირიკულ-მათემატიკური გადახვევა(?) თემიდან: *თუ რა ძალა აქვს მათემატიკას და მისი ლოგიკის პრაქტიკულ რეალიზებას, ერთი-ორი მაგალითიც მოვიყვანოთ: ადამიანის ხელით, გონებით (უფრო ორივეთი) შექმნილი მთელი სიმდიდრე, იქნება ეს შოთას პოემა, ლეონარდო და ვინჩის თუ მიქელ-ანჯელოს ან ბეთჰოვენის შემოქმედება (გნებავთ, მათ ჩვენ მიერ ვორდსა თუ ექსელში შექმნილი ფაილებიც მივათვალოთ), კომპიუტერის მეხსიერებაში შესაძლებელია შევინახოთ ორად-ორი სიმბოლო - „0“ და „1“-ის მეშვეობით. მეტიც, თეორიულად ისიც კი შესაძლებელია, ფურცელზე ავსახოთ ერთადერთი წერტილის დასმითაც კი!*

სწორედ ინტერდისციპლინურ მიდგომაზე დაყრდნობით შევიმუშავეთ ენების წარმოშობა-განვითარების 3-ეტაპოვანი სქემა, საიდანაც ხშირ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება ტერმინის ეტიმოლო-

გიური წარმოშობის ვერსიის ძიება დავიწყეთ არა „ქვემოდან“ (გნებავთ, არა მხოლოდ ამ საწყისი პოზიციიდან), არამედ წინასწარ გამოვთქვათ საფუძვლიანი ვარაუდი, თუ საიდან შეიძლება მომდინარეობდეს როგორც ეს სიტყვა, ისე მის ეტიმოლოგიაზე „ექვმიტანილი“ პირველწყაროს ამ თუ სხვა ენებში გაფანტული „ნამსხვრევები“.

ასეთი მიდგომა მკვლევრებს რომ საქმეს მნიშვნელოვნად გაუადვილებს, არაერთხელ დავრწმუნდით!

ახლა ასეთ ძირეულ ტერმინებზე გასვლა იყო ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიზანი.

...

დასასრულ, ქართველებისათვის განსაკუთრებით საინტერესო სიტყვა **საქართველოს** ეტიმოლოგიის შესახებ:

ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი დიდი ხნის წინ გადაიდგა - გავდივართ ტერმინ **ქართლზე** და ვთვლით, რომ მისი მართებულობა არავითარ ეჭვს არ იწვევს.

იგივე ითქმის მეორე ნაბიჯზეც, რომელსაც მივყავართ სიტყვა **ქართ**-თან (ეგრისში ტერმინმა როგორც ფორმით, ისე სემანტიკურად მცირეოდენი სახეცვლილება განიცადა და *ქორთუს* სახით ქართველის, ქართლელის აღმნიშვნელ სიტყვად იქცა).

შემდეგ კი ეტიმოლოგისკენ მიმავალი ბილიკი იკარგება, თუმცა მკვლევრების მიერ გამოთქმულია რამდენიმე ვარაუდი, მაგალითად, ტერმინის ფუძედ *ქალდეა/ხალდის* მიჩნევის შესახებ... შესაძლოა, საბოლოო ტერმინის დამკვიდრებაში სიტყვა ქორედმაც მოახდინა გავლენა (საბა, ბიბლიაზე დაყრდნობით, ამ ტერმინს ასე განმარტავს: [1 ნეშტ. 28, 20]

სახლზედ სახლი აგებული; ქორედ-ქორედი – ოთხ(ი)-ხუთი სახლი სახლზედ შენებული).

სტატიაში ადრე მოყვანილი მოსაზრებიდან გამომდინარე, *ქართ/ქართლ* ტერმინის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში არ გამოვრიცხავთ ამ თითოეული ვერსიის წვლილს, მაგრამ აქვე თავს უფლებას ვამძლევეთ, ქვემოთ მოტანილ არგუმენტებზე დაყრდნობით, **ქართ** ტერმინის წარმოშობის შესახებ გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება:

უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ **ქართ**-ის სახელდებისათვის მთავარ ორიენტირად მივიჩნევთ ტერმინ **თარგამოს**.

ჩვენი ვარაუდით, ამ ლეგენდარული გმირის სახელი მომდინარეობს **თარგამ** სტრუქტურის მქონე უძველესი წარმართული კერპის აღმნიშვნელი თეონიმისაგან.

თეონიმებისა და ტოპონიმების ორკომპონენტთან კომპოზიტებად წარმოდგენის მოტივებზე ამავე სტატიაში ზემოთ გვქონდა საუბარი. აქ კი აღვნიშნავთ, რომ განსახილველი ტერმინის წარმოშობისათვის შესაძლებლად მიგვაჩნია, გამოყენებულიყო როგორც ერთი, ისე მეორე გზა (ცნობილია, რომ გადასვლა ტოპონიმისა თეონიმში და, პირიქით, იშვიათი მოვლენა არ გახლდათ):

1. **ტოპონიმური წარმოშობის ვერსია.** საქართველოს შუაგული იყო და არის ქართლი. მის გულად კი შეიძლება მივიჩნიოთ როგორც მცხეთა, ისე მასთან სიახლოვეში მყოფი ისეთი დასახლებული პუნქტები, როგორიცაა სოფლები: **ხოვლე** და **კავთისხევი**, აგრეთვე მხარეები: **თორი** და **ხევი**. ამ ტერმინების (ასევე გამ ↔ ქავ (კავ) სახის ვარიაციის) კომპოზიტად გადაქცევით შესაძლებლად მიგ-

ვაჩნია **თარ + გამ** (თარ + ქავ) ტოპონომის წარმოშობა. **ქავ** ტერმინი ქართულში დამოუკიდებლადაც არსებობს, მაგალითად **ქავის ციხის** სახით (აღნიშნავს შემოზღუდულ, დაკავებულ, დაცულ ტერიტორიას). არ გამოვრიცხავთ, რომ **კავთისხევი** კიდევ უფრო რთული სტრუქტურის კომპოზიტიც იყოს, რომელმაც დროთა განმავლობაში ცვლილებები განიცადა და თავდაპირველად მოიხსენიებოდა, როგორც **ქავ+თარის ხევი**. საინტერესოა, რომ ადრე საქართველოში არსებულა დასახლებული პუნქტი **ქავთარი**. შემორჩენილია XIII ს-ის დროინდელი საბუთი იმის შესახებ, რომ ქართლის მსხვილმა ფეოდალმა გრიგოლ სურამელმა შიომღვიმის მონასტერს მეწისქვილედ შესწირა სოფ. ციხედიდის მცხოვრები გლეხი **ქავთარელი**. ამრიგად, შესაძლოა მომხდარიყო ასეთი სახის გადასვლები:

ქავ+თორ → ქავ+თარ → ქავთარელი

(ჰაპლოლოგიით) →

ქავთარელი (მეტათეზისით) → **ქართველი**.

2. **თეონიმური წარმოშობის ვერსია**. რელიგიური წარმოდგენები ძალიან დიდი ხნის ჩაისახა, მაგრამ განსაკუთრებული ადგილი და პატივი ჩანს, მაშინ ერგო, როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ სულებს, ღვთაებებს, შემდეგ ღმერთს არა „უბრალოდ“ შეწევნა-დახმარების თხოვნით მიმართავდა, არამედ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მის საპატივცემულოდ აგებულ საკულტო ნაგებობებს ასტრო-

ნომიული დაკვირვებისთვისაც იყენებდა. ასევე, ვწერდით, რომ ადამიანები ხშირად მათთვის ირჩევდნენ მდინარეთა შეერთების ადგილს (ასეთი ტერიტორია გაზაფხულზე წყლის მიერ მოტანილი შლამით ნოყიერდებოდა). სწორედ ამ ფაქტორზე უნდა მიგვითითებდეს მეგრულში შემორჩენილი სიტყვა **ხვითორი** - ხვითოს მდებელი, ნაყოფიერი ადგილი [17].

ზემოთ საუბარი გვქონდა, თუ ერთი ეტიმონიდან წამოსულმა სიტყვებმა როგორი ცვლილებები შეიძლება განიცადოს როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით, მით უფრო მაშინ, როდესაც ამ ეტიმონით სახელდებული არსი, მოცემულ შემთხვევაში ტოპონიმურ-თეონიმურ-ასტრონომიული დანიშნულების ობიექტი, თავის დროზე განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ადამიანების ცხოვრებაში, მათი ყოველდღიური საქმიანობის ჩათვლით.

საქმე ისაა, რომ, ჩვენი ვარაუდით, **ქავთარ** ეტიმონის ჩამოყალიბება მაშინ მოხდა, როდესაც ერები ჯერ კიდევ არ იყვნენ დიდად დიფერენცირებული და სავსებით შესაძლებელია, აღნიშნული თეონიმი ბევრი ერისთვის ქვეულიყო ქვეყნის ცნების აღმნიშვნელ ზოგადი სახის ტოპონიმად თუ, ამა თუ იმ ასოციაციით, სხვა შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელ ტერმინად.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ განხილვის ღირსია ისეთი, ერთი შეხედვით, ფანტასტიკური ვერსიაც კი, როგორიცაა **ქავთარ** ტერმინთან (ჩვენი ვარაუდით, უძველეს სიტყვა-ეტიმონთან) ნათესაურ კავშირზე „ექვის მიტანა“ რიგი ტერმინებისთვის, ამასთან, სხვადასხვა ენაზე,

რომელთა ეტიმოლოგიური წარმოშობა მკვლევრებისთვის სრულიად უცნობია ან ფუძისკენ მიმავალი ბილიკი ორიოდ ნაბიჯის შემდეგ უჩინარდება.

ქვემოთ მოგვყავს ზოგიერთი ტერმინის სია:

Country (ინგლ.) - ქვეყანა;

Ху(в)top (რუს., უკრ., პოლ. ხუტორი) – არის ვარაუდი, რომ ტერმინი მომდინარეობს ძვ.-ზ.-გერმ. Huntari-დან (ოლქის ნაწილის ადმინიშვნელია);

სხვიტორი, ქვიტირი, კინტრიში, ქუ(ვ)თა(რ)ისი;

гу(в)тарить (?) – ტერმინის ირონიული შეფერილობა, მისი წარმოშობის იმ შორეულ წარსულზე მეტყველებს, როდესაც ადამიანები ქავთარ და მისი მსგავსი ფუნქციების მქონე კერპების საპატივცემულოდ შემდგომ ხანებში შერისხულ ცეკვა-სიმღერებს ასრულებდნენ! ასეთი ტერმინების რიგში მოვიაზრებთ ასევე ლათინურ cantare-ს, ქართულ კუნტრუმს, სპარსულიდან შემოსულ კინტოს (გაიგივებულს ცულლუტ, ლაზღანდარა, მასხარა პერსონებთან).

დასკვნა

სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით საკამათო და გამოსაკვლევ-გამოსაჩხრევ-დასამტკიცებელი ჯერ კიდევ ბევრია (ცხადია, უპირველეს ყოვლისა, ენათმეცნიერთა, თუმცა არა მხოლოდ მათ მიერ), მაგრამ ის ფაქტი, რომ 8 ათასი წლის წინ ჩვენმა წინაპრებმა (სავარაუდოდ, პროტობერებმა და კელტებმა) კაცობრიობას აჩუქეს კულტურული ვაზი და მისგან დაწურეს ღვინო, ასევე ხორბალი/პური და ხელი მოკიდეს მეთაფლობასაც, ჩვენი ჰიპოთეზები (და მომავალში აღმო-

საჩენი კიდევ ბევრი სხვა რამ) მთლად გასაოცრად არ უნდა მოგვეჩვენოს!

(კარგი იქნება, თუ ლინგვისტები იმსჯელებენ ამ ვერსიების შესახებ და კიდევ უკეთესი, თუ მათი და ჩვენი მოზრებები/ არგუმენტები ერთმანეთთან დაემთხვევა).

ამრიგად, სტატიაში გამოთქმული ცალკეული მოსაზრებების აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე პრეტენზიას არ ვაცხადებთ, თუმცა დარწმუნებული ვართ, რომ თითოეული მათგანი საფუძვლიანად განხილვის ღირსია. გვსურს აქ ერთ მომენტსაც გავუსვათ ხაზი:

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ დიდი როლი შეასრულეს ბერძნულმა და რომაულმა ცივილიზაციებმა მთელი კაცობრიობის წინსვლის საქმეში. დასტურად ერთადერთი ფაქტის მოყვანაც კმარა - დღეს განვითარებულ ერებს მათი ენებიდან უამრავი სიტყვა აქვთ ნასესხები. როდესაც ქართველები (გნებავთ, პროტოქართველები) თუ პირველნი არა ერთ-ერთნი მაინც იყვნენ, ვინც მომთაბარეობიდან გადავიდნენ ადამიანების ცხოვრების თვისებრივად ახალ წესზე – მიწათმოქმედებაზე, რის შედეგადაც კაცობრიობა განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა. საკვირველი სწორედ ის იქნებოდა, ამ პროცესის თანამდევნი ცვლილებები ჯერ ჩვენს ენაში არ მომხდარიყო, ხოლო შემდეგ, ზემოთ აღნიშნული პროცესის მსგავსად, სხვა ერების ენებშიც არ ასახულიყო.

იქნებ სწორედ ამის შესახებ გვესაუბრებოდა იოანე-ზოსიმე?

ლიტერატურა

1. Gvinepadze G. Solution of some complex linguistic problems by interdisciplinary approach. Tbilisi: Publishing House “Technical University”. “Works”. №1 (511). 2019, 80-88pp. (in Georgian).
2. Gvinepadze G. Solution of some complex linguistic problems by interdisciplinary approach (for etymology of the term ‘Georgia’). Tbilisi: Publishing House “Technical University”. “Works”. №2 (512). 2019, 40-54 pp. (in Georgian).
3. Gvinepadze G. The subject-oriented linguistics. II international scientific conference "Processing of natural languages. Georgian language and computer technologies". Tbilisi. 2004, 28-29 pp. (in Georgian).
4. Gvinepadze G. Sciences and Ioane-Zosime “Praise and Exaltation of the Georgian Language”. I international scientific conference “Science and religion”. Tbilisi. 2005. (in Georgian).
5. Gvinepadze G. Computer system for etymologic research automation. Scientific-historical journal “Svetitskhoveli”. #2. 2011, 35-39 pp. (in Georgian).
6. Gvinepadze G. Concept for etymologic research computer system. Conference devoted to the automated control systems department 40th anniversary. 2011, 244-247 pp. (in Georgian).
7. Gvinepadze G. New water theory about the origin of languages through mythological, biblical and scientific views. III international conference “Science and religion”. Tbilisi. 2014, 313-320 pp. (in Georgian).
8. Gvinepadze G. Using control theory methods for the problems of language origins and development and Wiktionary improvement. International scientific conference “Science and religion” devoted to Academician Iv. Prangishvili 85th anniversary. Tbilisi. 2015, 191-197 pp. (in Georgian).
9. Gvinepadze G. Issues of origins and development of languages through the ages. IV International scientific conference „Computing/informatics, educational sciences, teacher education”. Tbilisi. 2016, 359-364 pp. (in Georgian).
10. Chachanidze G., Gvinepadze G. Advancing language technology to build cross-cultural bridges. Multilingualism in cyberspace. Proceedings of the Ugra Global Expert Meeting. Interregional library cooperation centre. Moscow. 2016, 257-263 pp.
11. Gvinepadze G. Issues of origins and development of languages through the ages and the Wiktionary. Tbilisi: Publishing House “Technical University”. “Works”. N3, (505). 2017, 49-66 pp. (in Georgian).
12. Gvinepadze G. On the origin of the river Mtkvari (Kura) and the concept of interactive system for etymological research. Tbilisi: Publishing House “Technical University”. “Works”. №1 (507). 2018, 18-31 pp. (in Georgian).
13. URL:
https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%AD%D1%82%D0%B8%D0%BC%D0%BE%D0%BB%D0%BE%D0%B3%D0%B8%D1%8F_%D0%BE%D0%B9%D0%BA%D0%BE%D0%BD%D0%B8%D0%BC%D0%B0_%C2%AB%D0%9C%D0%BE%D1%81%D0%BA%D0%B2%D0%B0%C2%BB (in Russian).
14. Gvinepadze G. Architecture - the phenomenon of the relationship of science, religion and art. Tbilisi: Scientific and technical magazine “Modern problems of architecture and town planning”. №10. 2019, 89-98 pp. (in Georgian).
15. URL:
http://gtu.ge/View/index.html#http://gtu.ge/book/monografiebi/G_Gvinepadze_shemoqmedebiTi_azrpvneba.pdf (in Georgian).
16. URL: <http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/111016/89/> (in Georgian).
17. Gakharia N. Vocabulary designating the notions of soil and water in the Mingrelian-Laz languages. Master research paper. Sokhumi State University. 2019. (in Georgian).

UDC 004.5

SCOPUS CODE 1801

Solution of some complex linguistic problems by interdisciplinary approach

Gela Gvinepadze Department of Automated Control Systems, Georgian Technical University, 77
M. Kostava str, 0160 Tbilisi, Georgia
E-mail: gvinepadzegela@gmail.com

Reviewers:

G. Surguladze, Professor, Faculty of Informatics and Control Systems, GTU

E-mail: gsurg@gmx.net

K. Pkhakadze, Dr. Sci. in Physics and Mathematics, Director of Educational Research Center for Technologization of the Georgian Language

E-mail: gllc.ge@gmail.com

Abstract. The article considers new versions of the etymological origins for a number of words both in Georgian and in other languages on the basis of the theory of the origin of languages proposed by its author.

In addition to the abovementioned theory the author used an interdisciplinary approach during the search for the etymons of words. In particular, the necessary information from various spheres of human activity was selected. Then for their comparison, analysis and final decision making were used the methods that are successfully applied by system analysts in the development of computer systems. These methods are used not only to find out meaningful facts about the research field, but also to evaluate proposed solutions, namely, the instruments, such as questionnaire methods, Delphi, brainstorming, Six Thinking Hats of de Bono, etc.

Key words: Angel; Ankara; England; Enguri; etymological research; interdisciplinary approach; Kiev; Moscow; Sakartvelo.

UDC 004.5

SCOPUS CODE 1801

Решение некоторых сложных лингвистических задач с помощью интердисциплинарного подхода

Гела Гвинепадзе Департамент автоматизированных систем управления, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава, 77
E-mail: gvinepadzegela@gmail.com

Рецензенты:

Г. Сургуладзе, профессор факультета информатики и систем управления ГТУ

E-mail: gsurg@gmx.net

К. Пхакадзе, доктор физико-математических наук, директор научно-исследовательского центра технологического грузинского языка

E-mail: gllc.ge@gmail.com

Аннотация. В данной статье, на основе предложенной ее автором теории происхождения языков, для ряда слов как на грузинском, так и в других языках, предлагаются новые версии их этимологического происхождения. Кроме отмеченной выше теории, во время поисков этимологов слов автором статьи применялся интердисциплинарный подход; в частности, подбирались нужные сведения из различных сфер людской деятельности, а для их сопоставления, анализа и принятия окончательных решений на их основе, были задействованы те методы, которые успешно используются системными аналитиками при разработке компьютерных систем, и не только для поиска значимых фактов об области исследований, но и для оценки предлагаемых решений, в частности, такие инструменты, как методы анкетирования, Дельфи, мозговой атаки, 6 шляп доктора де Боно и др.

Ключевые слова: Анкара; Angel, Anglia, Киев, Москва; Энгури; этимологические исследования; интердисциплинарный подход; Сакартвело.

განხილვის თარიღი 16.10.2019

შემოსვლის თარიღი 20.11.2019

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.03.2020